



იუსტიციის
სამინისტრო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) [2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება Heinrich Heine II, C-511/08, ECLI:EU:C:2010:189](#)

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„4 დირექტივის 97/7 პრეამბულის მე-14 პუნქტი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

‘...[ვინაიდან, დისტანციური ხელშეკრულების დადებისას] მომხმარებელს არ შეუძლია რეალურად ნახოს პროდუქტი ან დაადგინოს ხელშეკრულების დადებამდე მოწოდებული მომსახურების ხასიათი; ... თუ ამ დირექტივით სხვა რამ არ არის მითითებული, გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება’;

[...]

„6 ამ დირექტივის მე-6 მუხლი, სახელწოდებით „უარის თქმის უფლება“, ადგენს [...]:

1. ნებისმიერი დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მინიმუმ შვიდი სამუშაო დღის ვადა ხელშეკრულებაზე უარის თქმისთვის ჯარიმის გადახდისა და ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე. ერთადერთი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების გამო, არის საქონლის დაბრუნების პირდაპირი ხარჯები.

...

2. თუ მომხმარებელი ამ მუხლის შესაბამისად იყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ ანაზღაუროს მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხები. ერთადერთი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების გამო, არის საქონლის დაბრუნების პირდაპირი ხარჯები. [...]

[...]

„43 [...] უნდა აღინიშნოს, რომ ამ დირექტივის მე-6(2) მუხლის პირველი წინადადების ფორმულირება, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს აკისრებს ანაზღაურების ზოგად ვალდებულებას, რომელიც მოიცავს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა თანხის ანაზღაურებას, მათი გადახდის მიზეზის მიუხედავად.“

[...]

„45 დირექტივა 97/7, მისი მე-4 მუხლის თანახმად, საქონლის ფასსა და მიწოდების ხარჯებს განასხვავებს მხოლოდ იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს

მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე. ამის საპირისპიროდ, **ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, ეს დირექტივა არ აკეთებს ასეთ განსხვავებას და, შესაბამისად, მოიცავს მომხმარებლის მიერ მიმწოდებლისთვის გადახდილ ყველა თანხას.**

46 ამ ინტერპრეტაციას ასევე ადასტურებს ფრაზის - „ერთადერთი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომხმარებელს“ - ფორმულირება, რომელიც გამოყენებულია მე-6(2) მუხლის მეორე წინადადებაში „საქონლის დაბრუნების პირდაპირ ხარჯებზე“ მისათითებლად. როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი მოსაზრების 32-ე პუნქტში, **სიტყვები „ერთადერთი გადასახადი“ ამ დებულების მკაცრ განმარტებას აუცილებელს, ხოლო ამ გამონაკლისს - ამომწურავს ხდის.“**

[...]

„52 დირექტივის 97/7 მე-6(1) მუხლის პირველი აბზაცის მეორე წინადადების და მე-6(2) მუხლის მეორე წინადადების განმარტება იმ გაგებით, რომ ეს დებულებები ეხება ხელშეკრულების დადებით, შესრულებით და შეწყვეტით გამოწვეულ ყველა ხარჯს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომხმარებელს, თუ ის გამოიყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, შესაბამისობაში მოდის ამ დირექტივის ზოგად სქემასა და მიზანთან.“

[...]

„54 [...] დირექტივის 97/7 მე-6 მუხლის მიზანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დირექტივის პრეამბულის მე-14 პუნქტის შესაბამისად, **ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გაწეული ხარჯების მომხმარებლისთვის დაკისრების აკრძალვა უზრუნველყოფს, რომ ამ დირექტივით გარანტირებული უარის თქმის უფლება წარმოადგენდეს „უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ფორმალურ მოთხოვნას“** (ამასთან დაკავშირებით, იხ., საქმე C 489/07 Messner [2009] ECR I 0000, პუნქტი 19). ვინაიდან, მე-6 მუხლის მიზანი აშკარად არ არის, შეაფერხოს მომხმარებელი, გამოიყენოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ამ მიზნის საწინააღმდეგო იქნება მე-6 მუხლის ისეთი განმარტება, რომელიც წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, დაუშვან ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიწოდების ხარჯების მომხმარებლისთვის დაკისრება.

55 ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ [...] **დირექტივა მიმწოდებლებს უფლებას აძლევს, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებლებს დააკისრონ მხოლოდ საქონლის უკან დაბრუნების პირდაპირი ხარჯები.**

56 თუ მომხმარებლებს ასევე მოუწიათ მიწოდების ხარჯების გადახდა, ასეთი გადასახადი, რომელიც აუცილებლად შეაფერხებდა მათი მხრიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებას, ასევე შეუთავსებელი იქნებოდა დირექტივის მე-6 მუხლის მიზანთან, როგორც ეს ზემოთ, 54-ე პუნქტშია აღნიშნული.

57 გარდა ამისა, მათთვის ასეთი გადასახადის დაწესება საფრთხეს შეუქმნის დისტანციური ხელშეკრულებების მხარეებს შორის რისკების დაბალანსებულ განაწილებას, რადგან ამით მომხმარებლებს საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის საკუთარ თავზე აღება მოუწევთ.“

[...]

„60 [...]

ევროპარლამენტისა და საბჭოს 1997 წლის 20 მაისის მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ კონტრაქტებთან მიმართებით დირექტივის 97/7/EC მე-6(1) მუხლის პირველი აბზაცის მეორე წინადადება და მე-6(2) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ **გამორიცხოს ეროვნული კანონმდებლობა,**

რომელიც დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს საშუალებას აძლევს, დააკისროს მომხმარებელს საქონლის მიწოდების ხარჯები, როდესაც ეს უკანასკნელი იყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.“

მოკლე მიმოხილვა:

ვინაიდან, დისტანციური ხელშეკრულებების დადებამდე მომხმარებელს არ შეუძლია რეალურად ნახოს პროდუქტი ან დაადგინოს მოწოდებული მომსახურების ხასიათი, დირექტივა აწესრიგებს ასეთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. დირექტივის პრეამბულის მე-14 პუნქტის შესაბამისად, „ამ უფლების გამოყენებისას მომხმარებლის მიერ გაწეული ხარჯები უნდა შემოიფარგლოს საქონლის დაბრუნების პირდაპირი ხარჯებით.“

2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში Heinrich Heine II (C 511/08) სასამართლომ იმსჯელა იმაზე, უნდა მოიცავდეს თუ არა მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის ასანაზღაურებელი ხარჯები პროდუქციის მიწოდების ღირებულებასაც, დისტანციურ ხელშეკრულებაზე მომხმარებლის მიერ დადგენილ ვადაში უარის თქმის შემთხვევაში.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა არ შეიძლება დააკისროს მომხმარებელს საქონლის მიწოდების ხარჯები, როდესაც ეს უკანასკნელი იყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას და ამ შემთხვევაში ერთადერთი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომხმარებელს, არის საქონლის უკან დაბრუნების პირდაპირი ხარჯები.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXIX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1997 წლის 20 მაისის დირექტივა 97/7/EC მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ კონტრაქტებთან მიმართებით (მოგვიანებით ჩანაცვლდა 2011/83/EU დირექტივით).
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 97/7/EC მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის 1-ელი აზვაცი; მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი (მოგვიანებით ჩანაცვლდა 2011/83/EU დირექტივის 9(1), 13(1-2) და 14(1) მუხლებით).
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოებაც ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი. (სარეგისტრაციო კოდი: 240110010.05.001.020542; 15/12/2023 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება Handelsgesellschaft Heinrich Heine GmbH v Verbraucherzentrale Nordrhein-Westfalen eV, C-511/08, ECLI:EU:C:2010:189

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.